სსიპ კოლეჯ „მოდუსის“ ხარისხის მართვის მენეჯერის 2024 წლიური ანგარიში

დაწესებულების სახელწოდება	**სსიპ კოლეჯი „მოდუსი“**
ხარისხის სამსახურის ჯგუფის შემადგენლობა	**ხარისხის მართვის მენეჯერი:** მადონა გოგობერიშვილი **სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგის სპეციალისტი:** ქეთევან გურგენიშვილი

ინფორმაცია დაწესებულებაში <u>განსახორციელებელი</u> ყველა მოდულური პროგრამების განხორციელების შესახებ

კოლეჯში მიმდინარე პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება/გადამზადების პროგრამები				
N	**პროგრამის სახელწოდება**	**დონე**	**ფორმა**	**ჯგუფების რაოდენობა**
რუსთავი				
1.	ელექტროობა	მესამე	მოდულური	2
2.	თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი	მესამე	მოდულური	1
3.	სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია	მესამე	მოდულური	2
4.	შედუღება	მესამე	მოდულური	2
5.	მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება	მესამე	მოდულური	1
6.	მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება	მესამე	მოდულური	1
7.	ავტოსატრანსპორტო საშუალებების ღებვა	მესამე	მოდულური	1

8.	მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება	მესამე	მოდულური	1
9.	ვებტექნოლოგიები	მეოთხე	მოდულური	1
10.	ვებტექნოლოგიები	მეოთხე	მოდულური ინტეგრირებული	1
11.	სამკერვალო წარმოება	მესამე	მოდულური	2
12.	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა	მესამე	მოდულური	2
13.	კომპიუტერული ქსელი და სისტემები	მეოთხე	მოდულური ინტეგრირებული	1
14.	კომპიუტერული ქსელი და სისტემები	მეოთხე	მოდულური	1
15.	მებაღეობა	მეოთხე	მოდულური	3
16.	აღმზრდელი	მეხუთე	მოდულური	2
17.	ბუღალტრული აღრიცხვა	მეხუთე	მოდულური	2
18.	კულინარიის ხელოვნება	მესამე	მოდულური	2
19.	თმის მომსახურება	მესამე	მოდულური	2
		მარნეული		
1.	ელექტროობა	მესამე	მოდულური	2

2.	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა	მესამე	მოდულური	2
3.	მებოსტნეობა	მესამე	მოდულური	1
4.	მეხილეობა (იტეგრირებული)	მეოთხე	მოდულური/ინტეგრირებული	2
5.	მეხილეობა	მეოთხე	მოდულური	0
6.	აღმზრდელი	მეხუთე	მოდულური	2
7.	სამკერვალო წარმოება	მესამე	მოდულური	2
8.	ბუღალტრული აღრიცხვა	მეხუთე	მოდულური	2
მომზადება / გადამზადების პროგრამები				
1.	ქართული და უცხოური კერძების მომზადება	მესამე	სახელმწიფო პროგრამა	2
2.	სააღმზრდელო პროცესების წარმართვა სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში	მეოთხე	სახელმწიფო პროგრამა	3
3.	ტურისტული მეგზური (ქართულენოვანი)	მეოთხე	სახელმწიფო პროგრამა	1
4.	ქალის მსუბუქი ტანსაცმლის კონსტრუირება-კერვა (რუსთავი)	მესამე	სახელმწიფო პროგრამა	2
5.	ქალის მსუბუქი ტანსაცმლის კონსტრუირება-კერვა (მარნეული)	მესამე	სახელმწიფო პროგრამა	1
6.	მამაკაცის ზედა პერანგისა და შარვლის კონსტრუირება - კერვა (რუსთავი)	მესამე	სახელმწიფო პროგრამა	1

7.	ელექტრომემონტაჟე	მესამე	სახელმწიფო პროგრამა	2
8.	ლიფტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი	მეოთხე	სახელმწიფო პროგრამა	1
9.	დეკორატიული მცენარეების გამრავლება	მესამე	სახელმწიფო პროგრამა	1
10.	ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების მოყვანა-გამრავლება დახურულ გრუნდში	მესამე	სახელმწიფო პროგრამა	1
11.	მაღალტემპერატურული ტექნოლოგიების ოპერატორი	მეოთხე	სახელმწიფო პროგრამა	1
12.	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა	მეოთხე	სახელმწიფო პროგრამა	2
13.	მზის ფოტო-ელექტრონული სისტემების მონტაჟი	მეოთხე	სახელმწიფო პროგრამა	1
14.	ჰიდროელექტროსადგურის (ჰეს) ჰიდრო-მექანიკური ნაწილის ექსპლუატაციის ოპერატორი	მეოთხე	სახელმწიფო პროგრამა	1
15.	თმის შეჭრა-ვარცხნილობები	მესამე	სახელმწიფო პროგრამა	2

ჩატარებული ანალიზის ძირითადი თემები	მტკიცებულებები:
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის გამოკითხვის ანალიზი	
კითხვარში, რომელიც შეიქმნა სსიპ კოლეჯი მოდუსის ადმინისტრაციის წევრებისთვის, კოლეჯის განვითარებისა და მათი კმაყოფილების დონის განსაზღვრის მიზნით, მონაწილეობა მიიღო სსიპ კოლეჯი მოდუსის ადმინისტრაციის 17 თანამშრომელმა. **მონაცემები შემდეგნაირად გადანაწილდა:** ✓ გამოკითხვაში მონაწილე ადმინისტრაციის წევრების უმრავლესობა (76.5%) იცნობს კოლეჯის მისიას, ხედვას და ღირებულებებს, ხოლო მათი ნაწილი (17.6%) ჩართული იყო კოლეჯის	კოლეჯში დასაქმებული ადმინისტრაციის წევრების მიერ შევსებული კითხვარები.

მისიის შემუშავების პროცესში. ✓ კვლევაში მონაწილე ადმინისტრაციული პერსონალი ადასტურებს, რომ სამოქმედო გეგმა შემუშავებიულია ადმინისტრაციის წევრების ჩართულობით, სამოქმედო გეგმის აქტივობებზე პასუხისმგებელი პირების უშუალო მონაწილეობით და ხელმისაწვდომია საჯაროდ. ✓ ადმინიტრაციის თანამშრომლები სისტემატიურად ეცნობიან როგორც კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციას, ასევე მოქმედ მარეგულირებელ დოკუმენტებს და საკანონმდებლო აქტებს, რომლებიც მოქმედებს პროფესიული განათლების სისტემაში. ✓ ადმინისტრაციის თანამშრომლები ადასტურებენ მოსაზრებას, რომ საკანონმდებლო ცვლილებები გონივრულ ვადებში ისახება კოლეჯის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში; ✓ გამოკითხვაში მონაწილე ადმინისტრაციის წევრების სრული უმრავლესობა, ადასტურებს რომ ჩართული იყვნენ მათი ფუნქცია-მოვალეობების შემუშავების პროცესში და ეთანხმება დებულებას, რომ სამუშაო ფუნქცია-მოვალეობები შეესაბამება მათ რეალურ საქმიანობას კოლეჯში. ადასტურებენ, რომ ასრულებენ ყველა იმ ფუნქცია-მოვალეობას, რაც მათი პოზიციის შესაბამისად არის გაწერილი და ფუნქცია-მოვალეობების გარდა, ასრულებენ დამატებით სამუშაოებს კოლეჯში. ✓ გამოკითხვაში მონაწილე ადმინისტრაციის წევრების უმრავლესობა (76.5%) მიიჩნევს, რომ წლის განმავლობაში დროულად ახდენენ მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ანგარიშგებას, 17.6% ნაწილობივ ეთანხმება აღნიშნულ დებულებას, ხოლო 5.9% თვლის, რომ დროულად ვერ ახერხებს შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშების მომზადებას/წარდგენას. ✓ გამოკითხვით დადგინდა, რომ ადმინისტრაციის წევრების 52.9% არ ეთანხმება დებულებას, რომ კოლეჯის სტრუქტურული ერთეულები კოორდინირებულად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მათი აზრით, ზოგიერთ შემთხვევებში, კოლეჯში ფიქსირდება სტრუქტურულ ერთეულებს შორის კომუნიკაციის ნაკლებობა. ✓ ადმინისტრაციის წევრები თვლიან, რომ მათი სამუშაო სიცრცე აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით, ტექნიკით და მასალებით და მათ მიერ მოთხოვნილი საჭირო სახარჯი მასალების მიწოდება ხდება დროულად, რაც არ აფერხებს მათ სამუშაო პროცესს; ✓ გამოკითხვაში მონაწილე ადმინისტრაციული პერსონალი თვლის, რომ კოლეჯი ზრუნავს პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე და ხელმძღვანელობის მხრიდან მყისიერად ხდება რეაგირება მათ ახალ ინიციატივებზე (82.4%). ✓ გამოკითულთა 82.4% იცნობს და იცავს კოლეჯში დადგენილ უსაფრთხოების წესებს; კოლეჯში დასაქმებულმა ადმინისტრაციულმა პერსონალმა, გასცა სხვადასხვა რეკომენდაციებიც, კოლეჯის ადმინისტრაციის შესაძლებლობების გაძლიერებისთვის. მათი **რეკომენდაციები**	

ძირითადად შეეხება: ✓ სასურველია ხელი შეეწყოს ადმინისტრაციული ერთეულების მეტად კოორდინირებულ მუშაობა და გუნდურობის წახალისება; ✓ სასურველია, წლიური ბიუჯეტის შემუშავების პროცესში ჩართული იყოს კოლეჯის ადმინისტრაციის წევრები, რათა მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული, თითოეული საშტატო ერთეულის საჭიროება; ✓ სასურველია კოლეჯში დაინერგოს თანამშრომლების წინაშე, თითოეული სამსახურის მიერ შესრულებული სამუშაოების დეტალური ანგარიშის წარდგენის პრაქტიკა. ✓ სასურველია, კოლეჯი უფრო ხშირად ჩაერთოს ისეთ პროექტებში, სადაც ხდება საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების გაზიარება, როგორც ქვეყნის შიდა ისე უცხოური კოლეჯების ადმინისტრაციების მიერ;	
2. მასწავლებლის კითხვარის ანალიზი	
გამოკითხული მასწავლებლების ზოგადი შეფასება - 2024 წლის იანვრიდან-დეკემბრის ჩათვლით საანგარიშო პერიოდში გამოიკითხა კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელთა 80% და შეივსო 50 კითხვარი, ორი საკვლევი ინსტრუმენტის გამოყენებით: „კითხვარი მასწავლებლისათვის საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის გაუმჯობესების მიზნით“ და „კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელთა თვითშეფასება და საჭიროებათა კვლევა“. მასწავლებლები გამოიკითხა შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე: ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა, ვებტექნოლოგია, ავტოსატრანსპორტო საშუალების ღებვა, მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება, მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება, სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია, მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება, შედუღება, ბუღალტრული აღრიცხვა, აღმზრდელი, ელექტროობა, სამკერვალო წარმოება, თმის მომსახურება, თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი, კულინარიის ხელოვნება, მებაღეობა, მებოსტნეობა, მეხილეობა, კომპიუტერული ქსელი და სისტემები. **მონაცემები შემდეგნაირად გადანაწილდა:** • გამოკითხული პროფესიული მასწავლებლების უმრავლესობა, (95%) სისტემატურად ეცნობა კოლეჯის შესახებ ინფორმაციას სოციალური ქსელებით - www.modusi.ge ან https://www.facebook.com/modusi.ge, იცნობს და იზიარებს კოლეჯის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (100%), იცნობს კოლეჯის სტრატეგიული განვითარების (85%) და	მასწავლებელთა შევსებული კითხვარები.

მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმას (80%) • კვლევაში მონაწილე პროფესიული განათლების მასწავლებლებლების უმრავლესობას, აქვს მოდულის ან/და ანალოგიური სწავლის შედეგების მქონე კურსის სწავლების გამოცდილება, იცნობენ და მისაღებია როგორც მოდულის სტრუქტურა, ასევე შინაარსი. • აღსანიშნავია, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლების 78%-ს აზრით, მოდულის ნაწილები დამატებით დაკონკრეტებას/განმარტებას არ საჭიროებს, 10%-ს აზრით - ნაწილობრივ საჭიროებს, ხოლო 12% აზრით საჭიროა მოდულის ნაწილების განმარტება და დაკონკრეტება. შედეგების ანალიზისთვის, დაკავშირება მოხდა თითოეულ პროფესიული განათლების მასწავლებელთან, რომლებმაც აღნიშნულ კითხვაზე დააფიქსირა მოსაზრება, რომ საჭიროა მოდულის თემატიკის დაკონკრეტება/ცვლილება. საკითხის მოკვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები გულისხმობდნენ **სასწავლო ლიტერატურას, სახელმძღვანელოებს.** • გამოკითხული პროფესიული მასწავლებლების 72% მიიჩნევს, რომ არაა საჭირო მოდულის თემატიკის შეცვლა დამატება ან შემცირება, 12% თვლის რომ ნაწილობრივ საჭიროა, ხოლო 16% მიიჩნევს, რომ საჭიროა შეიცვალოს მოდულის თემატიკა. შედეგების ანალიზისთვის, დაკავშირება მოხდა თითოეულ პროფესიული განათლების მასწავლებელთან, რომელმაც აღნიშნულ კითხვაზე დააფიქსირა მოსაზრება, რომ შესაცვლელია თემატიკა. თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებელმა თქვა, რომ აღნიშნული ცვლილებები უკვე გათვალისწინებულია პროგრამის ახალ საგანმანათლებლო სტანდარტში, რომელსაც იმუშავებს პროფესიული უნარების სააგენტო. • გამოკითხული პროფესიული განათლების მასწავლებლების 75% მონაწილეობა აქვს მიღებული სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში; • გამოკითხული პროფესიული განათლების მასწავლებლების 92.5%-ს შემუშავებული აქვს მათი მოდულის კალენდარული გეგმა და შეფასების ინსტრუმენტი (90%); • პროფესიული მასწავლებლების 65.9% მოახდინა სასწავლო გეგმის და სწავლის შედეგების ადაპტირება სსსმ სტუდენტებზე, დანარჩენ პროფესიულ მასწავლებლებს, ჯგუფში არ ერიცხებათ სსსმ სტუდენტი. • კვლევაში მონაწილე პროფესიული განათლების მასწავლებლების 72.5% ჩართული იყო შუალედური შეფასების პროცესში, კერძოდ შუალედური შეფასების ინსტრუმენტის შექმნაში, ხოლო 27.5% აზრით, შუალედური შეფასების მომენტში მათი მოდული არ იყო დასრულებული, შესაბამისად მათ არ მიუღიათ მონაწილეობა შუალედური შეფასების პროცესში. • გამოკითხული პროფესიული განათლების მასწავლებლების 100% თვლის, რომ უზრუნველყოფენ პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემის ვალიდურობას, სანდოობას, გამჭირვალეობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას, ასევე უზრუნველყოფენ სწავლების პროცესში	

ინტერაქციული სწავლების მეთოდების გამოყენებას და აქტივობების იმგვარად განაწილებას, სადაც პროფესიულ სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა დასვან კითხვები და მიიღონ შესაბამისი პასუხები, ჯგუფში გააზიარონ საკუთარი მოსაზრებები და ცოდნა, გამოხატონ თავიანთი იდეები და კრიტიკული მოსაზრებები;

- გამოკითხული პროფესიული განათლების მასწავლებლების 80% ჩართული იყო ვალიდაციის ან ვერიფიკაციის პროცესში.
- გამოკითხული პროფესიული მასწავლებლების 97.5% მიიჩნევს, რომ შესაბამის პასუხისმგებელ პირს, პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებებს და უწყისებს აწვდის დროულად, კოლეჯის მიერ დადგენილ ვადებში.
- კვლევაში მონაწილე პროფესიული განათლების მასწავლებლების 95% კოლეჯის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად წერილობითი ფორმით ითხოვს სასწავლო პროცესისათვის საჭირო მასალა-ნედლეულს.
- მასწავლებლების 95.1% დაინტერესებულია საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებით და მონაწილეობს პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით კოლეჯის მიერ შეთავაზებულ სწავლებებში.
- გამოკითხული პროფესიული განათლების მასწავლებლების 93.5% უზრუნველყოფენ სწავლების პროცესში უსაფრთხოების ნორმების დაცვას და საჭიროების შემთხვევაში ატარებენ შესაბამის ინსტრუქტაჟს.
- პროფესიული განათლების მასწავლებლების 97.5% ოპერატიულად აწვდის მუშაობის პერიოდში წამოჭრილი პრობლემების შესახებ ინფორმაციის ადმინისტარციის პასუხისმგებელ პირებს.
- პროფესიული განათლების მასწავლებელმა შეაფასეს საკუთარი საქმიანობა. ყველა პროფესიული განათლების მასწავლებელი დადებითად აფასებს როგორც მათ საქმიანობას, ასევე პროფესიულ სტუდენტებთან მუშაობის პროცესს. ფიქრობენ, რომ აქვთ სათანადო პროფესიული ცოდნა და უნარ-ჩვევები და შეუძლიათ სწორად მართონ საგაკვეთილო პროცესი. იცავენ მოქმედი კანონმდებლობით, კოლეჯის წესდებით, შინაგანაწესით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით და კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ პირობებს.

გამოკითხვაში მონაწილე პროფესიული განათლების მასწავლებლებს, შემოთავაზებული ჰქონდათ სხვადასხვა ინიციატივები/სარეკომენდაციო წინადადებები, მათი მოსაზრებით სასურველია:

- შეფასების ნაწილში, სასურველია გათვალისწინებული იყოს პროფესიული სტუდენტების დასწრების მაჩვენებელი;

• სასურველია არსებობდეს მოდულის განხორციელებისთვის საჭირო დამატებითი სახელმძღვანელოები (მაგ: ვებტექნოლოგიების, თმის მომსახურების პროფესიული პროგრამის ფარგლებში); • ერთი და იმავე მიმართულების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლების მჭიდრო კომუნიკაცია, შეფასების ინსტრუმენტის და სასწავლო პროცესის წარმართვის მიდგომების შემუშავების ნაწილში. • სტუდენტური გაცვლითი პროგრამების და პროექტების განხორციელება სხვადასხვა კოლეჯის მონათესავე მიმართულების სტუდენტებთან (მაგალითად ერთობლივი კონფერენციები, სადაც მოხდებოდა პროფესიული სტუდენტების ნაშრომების წარდგენა, აღნიშნული ხელს შეუწყობდა სწავლის მოტივაციის გაზრდას). • სხვადასხვა სახის აქტივობების განხორციელება დამსაქმებლებთან ერთად/ვორქშოფები; • უცხო ენის (ინგლისური ენა) სწავლების განხორციელება შესაბამისი დონის განსაზღვრის შემდეგ, დიფერენცირებულად, სათანადო სასწავლო მასალის გამოყენებით. • კოლეჯში დასაქმებული პირების შეკრება, სადაც ადმინისტრაცია კოლეჯში დასაქმებულ თითოეულ პირს, გააცნობს კოლეჯის სამოქმედო გეგმასა და მიზნებს. • პროგრამის უკეთ განხორციელებისთვის, დარგში არსებულ ტრენინგებში მონაწილეობა; • პროფესიული სტუდენტებისთვის სტაჟირების ორგანიზება ისეთ ობიექტებზე, სადაც მათ შეუძლიათ გაეცნონ რეალურ პირობებში მუშაობის სპეციფიკას. • პროგრამა აღმზრდელის განხორციელება ჰიბრიდული მეთოდით; **პროფესიული განათლების მასწავლებლები ადასტურებენ, რომ** • სრულად იცნობენ მოდულურ პროგრამას; • მათთვის მოდულის სტრუქტურა და მოდულის შინაარსი გასაგებია; • სწორადაა განსაზღვრული მოდულის გავლის წინაპირობები; • კალენდარული გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებულია მოდულის დამხმარე ჩანაწერები; • რეკომენდებული თემატიკა შეესაბამება მისაღწევ სწავლის შედეგებს; • მოდულის საათების ჯამური რაოდენობა ადეკვატურია დაგეგმილი სწავლის შედეგების მისაღწევად; • მოდულები უზრუნველყოფილია საჭირო აღჭურვილობით და ინვენტარით; • მოდულები უზრუნველყოფილია საჭირო მასალებით; • მოდულები უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო რესურსებით (სახელმძღვანელოები,	

ინტერნეტრესურსები). **მასწავლებლების მხრიდან შედარებით ნაკლები აქტივობა დაფიქსირდა:** • სასწავლო გეგმების შემუშავების პროცესში; • მოდულების ადაფტირებაში; • შუალედური შეფასების პროცესში. **<u>მიგნებები:</u>** • კოოპერაციული სწავლების ეფექტიანად წარმართვის მიზნით, პედაგოგები საჭიროებენ დამატებით ტრენინგს შეფასების ინსტრუმენტების გაუმჯობესების მიმართულებით, განსაკუთრებით სისტემაში შემოსული ახალი პედაგოგები; • ასევე, კითხვარების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლების 25% არ აქვთ მიღებული მონაწილეობა პროგრამის სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში; • კითხვარების ანალიზის საფუძველზე, გამოიკვეთა რომ საჭიროა სასწავლო რესურსების განახლება/დამატება, რომელიც დაეხმარება როგორც პროფესიული განათლების მასწავლებელს მოდულის უკეთ წარმართვაში, ასევე პროფესიულ სტუდენტებს სწავლის შედეგების მიღწევაში. • უკლებლივ ყველა მოდულის პედაგოგი მზადაა მიიღოს სიახლეების დანერგვაში მონაწილეობა, აიმაღლოს კვალიფიკაცია .	
3. სტუდენტთა კითხვარების ანალიზი	
• გამოკითხული პროფესიული სტუდენტების 64.8% სისტემატურად ეცნობა კოლეჯის აქტივობებს და იმ ინფორმაციებს, რომელიც განთავსებულია როგორც სოციალურ ქსელებში, (Facebook და Tik-Tok) ასევე, კოლეჯის ვებ-გვერდზე(www.modusi.ge). მათ შორის კოლეჯის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, ასევე ვებგვერდზე განთავსებულ კოლეჯის ელექტრონულ კატალოგს, რომელშიც მოცემულია პროფესიული სტუდენტებისთვის საჭირო საინტერესო ინფორმაცია. • პროფესიული სტუდენტების უმრავლესობა, ადასტურებს რომ იცნობენ მათ უფლება-მოვალეობებს, რომელიც განთავსებულია კოლეჯის ვებ გვერდზე. ინფორმირებულები არიან, როგორ იქნება კოლეჯის მხრიდან დაცული მათი პერსონალური მონაცემები და ადასტურებენ, რომ დასაქმების მიზნებიდან გამომდინარე, კოლეჯისათვის მიცემული აქვს თანხობა, მათი პერსონალური მონაცემების გაზიარების თაობაზე. • გამოკითხვაში მონაწილე პროფესიული სტუდენტების უმრავლესობა (87%) ადასტურებს, რომ კოლეჯს მათთან/მათ კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს სასწავლო	სტუდენტთა შევსებული კითხვარები

ხელშეკრულება. • კვლევაში მონაწილე პროფესიული სტუდენტების 90.7% იცის რას ნიშნავს მოდულური სწავლება და იციან, როგორ შეფასდება მათი მიღწევები მოდულის/პროგრამის ფარგლებში და თვლიან, რომ მიღწეული სწავლის შედეგები გამოაადგებათ მათ მომავალ პროფესიულ საქმიანობაში (92%). • პროფესიული სტუდენტებს ინფორმაცია აქვთ ინტეგრირებული სწავლების და კომპლექსური დავალებებით შეფასების პირობების შესახებ (68.5%). • გამოკითხვაში მონაწილე თითოეული პროფესიული სტუდენტის აზრით, ინფორმაციას შეფასების ვადების შესახებ პროფესიული განათლების მასწავლებლისგან იღებს გონივრული ვადების დაცვით, შეფასებამდე მინიმუმ 1 კვირით ადრე. ასევე, პროფესიული განათლების მასწავლებლებისგან, ინფორმირებული არიან როგორც შუალედური შეფასებაში, ასევე საკვალიფიკაციო გამოცდაში, მათი სავალდებულო მონაწილეობის თაობაზე (88.9%). 7.4% არ არის ინფორმირებული. • პროფესიული სტუდენტები იცნობენ პროფესიული სტუდენტის შეფასების გასაჩივრების (აპელაციის) წესს (63%), იცნობენ კოლეჯის მიდგომას სტუდენტის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის, სტატუსის აღდგენის და მობილობის შესახებ, რომელიც ასევე განთავსებულია კოლეჯის ვებ-გვერდზე (74.1%) და ფლობენ ინფორმაციას კოლეჯში არსებული სტუდენტური სერვისების (ბიბლიოთეკა, სამკითხველო, ფაბლაბი და ა.შ.) შესახებ (85.2%). • პროფესიული სტუდენტების 96.6% მიიჩნევს, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები გასაგებად ხსნიან მასალას (იყენებენ მაგალითებს და ილუსტრაციებს მასალის ნათლად გადმოსაცემად), ამომწურავად პასუხობენ შეკითხვებს და სწავლის პროცესში პროფესიული განათლების მასწავლებლებისგან იღებენ ყველა საჭირო დახმარებას/კონსულტაციას. ასევე თვლიან, რომ საგაკვეთილო პროცესი მიმდინარეობს დინამიურად - პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა დასვან კითხვები და მონაწილეობა მიიღონ დისკუსიებში. • გამოკითხული პროფესიული სტუდენტების უმრავლესობა (98.1%) მიიჩნევს, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები იცავენ მასწავლებლის პროფესიული ეთიკის ნორმებს და ყოველთვის მომზადებულები არიან საგაკვეთილო პროცესისთვის. • გამოკითხული პროფესიული სტუდენტების 92.6% მიიჩნევს, რომ სასწავლო რესურსები სახელმძღვანელოები/ინტერნეტ-რესურსები/საბიბლიოთეკო სივრცე მათთვის ხელმისაწვდომია და სრულად აკმაყოფილებენ სწავლის საჭიროებებს; • გამოკითხული პროფესიული სტუდენტების 90.7% მიიჩნევს, რომ სასწავლო მასალები მიეწოდებათ დროულად, შეფერხების გარეშე. • 98.1% მიიჩნევს, რომ კოლეჯის სასწავლო გარემო უსაფრთხოა ყველა (მათ შორის სსსმ/შშმ) სტუდენტისთვის;	

• გამოკითხვაში მონაწილე პროფესიული სტუდენტების აზრით, მათ აქვს კომუნიკაცია კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან მათთვის საინტერესო საკითხებზე. მიიჩნევს, რომ მათ მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას/დოკუმენტს შესაბამისი პასუხისმგებელი პირისგან იღებენ გონივრულ ვადებში (10 დღე). • პროფესიული სტუდენტების 74.1% მიიჩნევს, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების (სპორტული, ხელოვნების, შემეცნებითი და სხვა ტიპის ღონისძიებების) წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინფორმირებას, როგორც არაფორმალური აქტივობების, ასევე დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. (74.1%) • გამოკითხული პროფესიული სტუტენტების 80% მიიჩნევს, რომ კოლეჯი აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე და გასცემდა რეკომენდაციას, მოდუსში სწავლის თაობაზე. პროფესიულმა სტუდენტებმა გამოთქვეს სხვადასხვა მოსაზრება კოლეჯის სტუდენტური სერვისების მომსახურების გაუმჯობესების თაობაზე: ✓ კაფეტერიის არსებობა კოლეჯის ტერიტორიაზე, სადაც პროფესიული სტუდენტები შეძლებენ შესვენების პერიოდში კვებას; ✓ სპორტული აქტივობების გამრავალფეროვნება; ✓ კოლეჯის შენობის დერეფნებში მოსაცდელი სკამების განთავსება; <u>**მიგნებები:**</u> • პროფესიული სტუდენტების მეტი ინფორმირება შუალედური შეფასების და საკვალიფიკაციო გამოცდის თაობაზე, ასევე მიღებული შეფასების აპელაციის უფლების შესახებ, პროფესიულ სტუდენტებთან უფრო ხშირი კომუნიკაციით და შეხვედრების ორგანიზებით; • სტუდენტური სერვისების გაქტიურება; • სასწავლო სივრცეების შეძლებისდაგვარად ოპტიმიზაცია ახალი კორპუსის სივრცეების გათვალისწინებით.; • კოლეჯის ვებ გვერდის გადახედვა, დიზაინის შეცვლა და ინფორმაციის უფრო ხშირი განახლება;	
4. პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამის განხორციელების შეფასება	

სასწავლო პროცესის ხარისხის შესაფასებლად, კოლეჯში დანერგილია დამატებითი კითხვარი, რომელიც გვეხმარება გავიგოთ პროფესიული სტუდენტების კმაყოფილება და მათ მიერ **მთლიანი პროგრამის** განხორციელების შეფასება. აღნიშნულ კვლევაში მონაწილეობას იღებენ სსიპ კოლეჯი ,,მოდუსის"პროფესიული სტუდენტები, რომლებმაც დაასრულეს სწავლა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, სრულად გაიარეს პროგრამის შემადგენელი სასწავლო მოდულები, თუმცა კითხვარის შევსების მომენტში არ აქვთ მინიჭებული პროფესიული კვალიფიკაცია. გამოკითხვა მიზნად ისახავს პროგრამის განხორციელების პერიოდში, პრობლემების იდენტიფიცირებას და პროგრამის ჰოლისტურად შეფასებას. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 81 პროფესიულმა სტუდენტმა. **მონაცემები შემდეგნაირად გადანაწილდა:** • გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო შემდეგი პროფესიული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიულმა სტუდენტებმა: შედუღება; ელექტროობა; სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია; თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი; ინფორმაციის ტექნოლოგია; კომპიუტერული ქსელი და სისტემები; ვეტბექნოლოგიები; მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება; მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება; მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემის შეკეთება; ავტოსატრანსპორტო საშალებების ღებვა; თმის მომსახურება; სამკერვალო წარმოება; კულინარიის ხელოვნება; ბუღალტრული აღრიცხვა; მებაღეობა; მებოსტნეობა; მეხილეობა, აღმზრდელი; • გამოკითხვაში მონაწილე პროფესიული სტუდენტების 71.6% ჩათვალა, რომ პროფესიულმა საგანმანათებლო პროგრამამ სრულად გაამართლა მათი მოლოდინი პროგრამის მიმართ და პროგრამაზე თავიდან ჩაბარების შემთხვევაში, კვლავ აირჩევდა სსიპ კოლეჯ „მოდუსში“ სწავლას, ხოლო პროფესიული სტუდენტების ნაწილი მიიჩნევს, რომ უკეთესი იქნებოდა პროგრამას ჰქონოდა მეტი პრაქტიკული კომპონენტი; • პროფესიული განათლების მასწავლებლებთან მიმართებაში, პროგრამის სწავლების ხარისხი დადებითად შეაფასა გამოკითხული პროფესიული სტუდენტების უმრავლესობამ - 85.1%, ხოლო დამაკმაყოფილებლად - 14.9%; • გამოკითხული პროფესიული სტუდენტების 91.3% მიიჩნევს, რომ კოლეჯში არსებული შეფასების სისტემა სამართლიანი და ობიექტურია და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად პროფესიული განათლების მასწავლებლისგან მუდმივად ღებულობდა სათანადო კონსულტაციებსა და მხარდაჭერას;	სტუდენტთა შევსებული კითხვარები

• პროფესიული სტუდენტების აზრით, კოლეჯის ადმინისტრაცია მათ გონივრულ ვადაში უწევდა ადმინისტრაციულ მხარდაჭერას და ინფორმაციას აწვდიდა დამატებითი არაფორმალური აქტივობების შესახებ; • პროფესიული სტუდენტების 93.8% კოლეჯის ვებ-გვერდიდან და სოციალური ქსელების საგანგებოდ შექმნილი ჯგუფებიდან ღებულობდა ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, ხოლო 4.9% არ ჰქონდა ინფორმაცია მსგავსი სერვისის შესახებ; <u>**მიგნებები:**</u> • პროფესიული სტუდენტების ნაკლები ინფორმირება კოლეჯში არსებული სხვადასხვა სერვისების, მათ შორის კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. პროფესიულ სტუდენტებთან უფრო ხშირი კომუნიკაციით და შეხვედრების ორგანიზებით;	
5. მეცადინეობაზე/შეფასების პროცესზე დასწრების ანალიზი	
შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ 2024 წლის საანგარიშო პერიოდში (იანვრიდან-დეკემბრის ჩათვლით), დასწრება განხორციელდა 85 საგაკვეთილო პროცესებზე (რუსთავში 40, მარნეულში 45). აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის ჯგუფი კოლეჯში მიმდინარე სასწავლო - საგაკვეთლო პროცესს ძირითადად დადებითად აფასებს. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა საგაკვეთილო პროცესის წარმართვისას, გაითვალისწინეს მონიტორინგის ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები. პროფესიული განათლების მასწავლებლები სასწავლო პროცესს წარმართავდნენ სასწავლო გეგმების/კალენდარული გეგმების შესაბამისად და იყენებდნენ მოდულის სტანდარტული ჩანაწერების შესაბამის სწავლებისა და შეფასების მეთოდებს. სასწავლო პროცესი ძირითადად მიმდინარეობდა ინტერაქციულ რეჟიმში თუმცა, ამავდროულად მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა ძირითადი გასაუმჯობესებელი ტენდენციები, რაც აღნიშნულია საგაკვეთილო პროცესზე დასწრების ოქმებში: • საგაკვეთილო პროცესზე მონიტორინგის დროს, რიგ შემთხვევებში გამოიკვეთა გაკვეთილის წარმართვა კალენდარული გეგმის წარმოდგენის გარეშე. აღნიშნულის გათვალისწინებით, მონიტორინგის ჯგუფს გაუჭირდა გაკვეთილის თემის შესაბამისობის დადგენა, წინასწარ წარმოდგენილ კალენდარულ გეგმასთან. აღნიშნულთან დაკავშირებით, მასწავლებლებს დაევალათ მოდულის კალენდარული გეგმის წარმოდგენა დათქმულ ვადებში. აღნიშნული	საგაკვეთილო პროცესზე დასწრების ოქმები

რეკომენდაცია გაიცა - ვებტექნოლოგიის, მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების, კულინარიის ხელოვნების, ელექტროობის, სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. • ზოგიერთ შემთხვევებში პროფესიული განათლების მასწავლებლები საგაკვეთილო პროცესზე არ ცხადდებოდნენ ცხრილით განსაზღვრულ დროს, აგვიანებდნენ საგაკვეთილო პროცესზე ან/და ასრულებდნენ საგაკვეთილო პროცესს ცხრილით განსაზღვრულ ვადებზე ადრე, რაც მათი განმარტებით ზოგ შემთხვევაში გამოწვეული იყო მოდულის საათების სიჭარბით, ზოგ შემთხვებში ტექნიკური გაუგებრობებით, თუმცა ყველა მათგანმა დაადასტურა რომ საგაკვეთილო პროცესზე დააგვიანა. შესაბამისად, გაიცა რეკომენდაცია, პროფესიული განათლების მასწავლებლებმა, საგაკვეთილო პროცესი დაიწყონ და დაასრულონ ცხრილით განსაზღვრულ დროს. • შეფასების საათის მონიტორინგისას, რიგ შემთხვევებში გამოიკვეთა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები, სწავლის შედეგების დადასტურებას ანხორციელებდნენ მოდულის სტანდარტული ჩანაწერებისგან განსხვავებულად და თვითნებურად ცვლიდნენ შეფასების მიმართულებას. შეფასების ინსტრუმენტის ვალიდურობისთვის, გაიცა რეკომენდაცია, პროფესიული განათლების მასწავლებელმა, თითოეული სწავლის შედეგის დასადასტურებლად გამოიყენოს შეფასების ის მეთოდი, რომელიც თანხვედრაშია მოდულის ჩანაწერებთან. ასევე, გაიცა რეკომენდაცია, შეფასების ჩატარებამდე, პროფესიული განათლების მასწავლებლებმა წარმოადგინოს შეფასების ვალიდური ინსტრუმენტი. • ზოგიერთი საგაკვეთილო პროცესის მონიტორინგისას, გამოივეთა რომ პროფესიული განათლების მასწავლებელს სრული საკონტაქტო საათი დათმობილი ჰქონდა ჯგუფთან განვლილი მასალის თეორიული გამოკითხვით. აღნიშნულის გათვალისწინებით, გაიცა რეკომენდაცია, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელმა თითოეული საათი დაგეგმოს არა მხოლოდ განვლილი მასალის თეორიული გამოკითხვით, არამედ ახალი მასალის ახსნით და ახალი უნარების განსავითარებელი აქტივობებით; • ზოგიერთი პროფესიული განათლების მასწავლებელი, სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე, გაკვეთილს ატარებდა კოლეჯის ტერიტორიის მიღმა, პრაქტიკის ობიექტზე. აღნიშნულთან დაკავშირებით გაიცა რეკომენდაცია, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელმა თითოეული მოდულის/საკონტაქტო საათის პრაქტიკის ობიექტზე გატანის შემთხვევაში, საქმისწარმოების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (eFlow) შესაბამისი პასუხისმგებელი პირის სახელზე, წარმოადგინოს სამსახურებრივი	

ბარათი, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნება შესაბამის ადმინისტრაციულ რგოლს/რგოლებს. • იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომელიც საჭიროებს სპეც.ტანსაცმლის/უნიფორმის გამოყენებას, გაიცა რეკომენდაცია პროფესიული განათლების მასწავლებლებმა მიიღონ ყველა საჭირო ზომა, რათა უზრუნველყონ საგაკვეთილო პროცესში პროფესიული სტუდენტების აღჭურვა შესაბამისი უნიფორმით, რაც განამტკიცებს შრომის უსაფრთხოების/ჰიგიენის ნორმების დაცვას. (აღნიშნული რეკომენდაცია შეეხოთ იმ მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებს, რომლებიც საგაკვეთილო საათზე საჭიროებენ სპეციალური უნიფორმის გამოყენებას - კულინარიის ხელოვნება; მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება). • ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის მიერ მიცემულ იქნა რეკომენდაცია მასწავლებლებისთვის, რომ სსსმ სტუდენტებისთვის განკუთვნილ დავალებებს თან ახლდეს ვიზუალური მინიშნებები, რადგან მათ უძნელდებათ თუნდაც მცირე ტექსტური მასალის აღქმა, თვალსაჩინო დასაყრდენი კი ხელს შეუწყობს მათი მხრიდან შესასრულებელი დავალებების / ამოცანების პირობის გაგებასა და შესაბამისად, შესრულებას; • გასაკვეთილო პროცესის მონიტორინგისას, გამოიკვეთა რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები რიგ შემთხვევებში არ ანხორციელებდნენ პროფესიული სტუდენტების დასწრების ფორმის შევსებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, გაიცა რეკომენდაცია, რომ საკონტაქტო საათის დაწყებიდან გონივრულ ვადაში შესაბამის ფორმაში აღრიცხონ პროფესიული სტუდენტების დასწრება. ***<u>მიგნებები:</u>*** • მნიშვნელოვანია, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან დამატებითი შეხვედრის ჩატარება ხარისხის შეფასებისთვის საჭირო დოკუმენტაციიის თაობაზე, კერძოდ, კალენდარული გეგმების, შეფასების ვალიდური ინსტრუმენტების მნიშვნელობაზე და საჭიროებაზე. • სამშენებლო მიმართულებით არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება შრომის უსაფრთხოების ნორმებისა და შრომის ჰიგიენის წესების დაცვაზე (კერძოდ: პროფესიულ სტუდენტებს არ ეცვათ სპეციალური ტანსაცმელი, ხელთათმანი და ჩაფხუტი).	

• საგაკვეთილო პროცესში პროფესიული სტუდენტების სრული ჯგუფის, განსაკუთრებით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების, ჩართულობის მიზნით, საჭიროა სწავლების მეთოდების დახვეწა და მასწავლებლების გადამზადება ინტერაქტიული სწავლების მეთოდოლოგიაში და ასევე გაკვეთილის სტრუქტურის / გეგმის საკითხებთან დაკავშირებით. • მნიშვნელოვანია, გეგმიური საგაკვეთილო პროცესის მონიტორინგის მიღმაც, პერიოდულად გადამოწმდეს ის საგაკვეთილო პროცესები, რომლებიც ხორციელდება კოლეჯის ტერიტორიის გარეთ, პრაქტიკის ობიექტზე.	
6. შეფასების კითხვარების ანალიზი - ვალიდაციის/შიდა ვერიფიკაციის კითხვარი	
შეფასების ინსტრუმენტების ფორმები ადეკვატურია, მათში გაწერილია შეფასების მიმართულება, შეფასების ინსტრუმენტი და მტკიცებულება, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში სრულად შეესაბამება მოდულში მითითებულ მტკიცებულებებს. ყველა მიმდინარე შეფასება ჩატარდა კოლეჯში პირისპირი მეთოდით, შეფასების ინსტრუმენტების ვალიდურობას ადასტურებს შემფასებელი/ შიდა ვალიდატორი, თუმცა შეფასების მტკიცებულებები საჭიროებს შინაარსობრივ კორექტირებებს. სწორედ ამ მიზნით, ხარისხის სამსახურის მიერ ვერიფიკაციის პროცესისთვის შერჩევით შეფასდა 6 ზოგადი მოდული და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - „აღმზრდელის“ და „მებოსტნეობის“ 10 დარგობრივი მოდული.	შიდა ვერიფიკაციის/ვალიდაციის ფორმები, ვერიფიკაციის დასკვნები
7. პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით დაწესებულებაში ჩატარებული ღონისძიებების/აქტივობების ანალიზი	
• კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი ჯგუფის ინიციატივით ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები/ტრენინგები, სადაც განხილული იქნა: კალენდარული გეგმების შევსების პრინციპები, მოდულური პროგრამების სწავლების სპეციფიკა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების მეთოდოლოგია, ინტეგრირებული პროგრამების სპეციფიკა და შეფასების მეთოდოლოგია, შუალედური და დასკვნითი შეფასების ორგანიზება და ინსტრუმენტების შემუშავების მეთოდოლოგია, პროგრამის ხელმძღვანელების ფუნქცია-მოვალეობები, ასევე მოკლევადიანი პროგრამების შემუშავების მექანიზმები და პროფესიული სტუდენტების მიერ დადასტურებული შეფასების მიხედვით შექმნილი მტკიცებულებების დაარქივების საკითხები, როგორც რუსთავის ისე მარნეულის პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის. • ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობის და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების საჭიროების თაობაზე შედგა არაერთი შეხვედრა მულტიდისციპლინურ გუნდათან და სტუდენტის	პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით დაწესებულებაში ჩატარებული ღონისძიებების/აქტივობების დამადასტურებელი მასალა

მშობლებთან და /ან მათ წარმომადგენლებთან. • საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სასწავლო პროცესზე დასწრება (40 რუსთავი, 45 მარნეული) დასწრების/მონიტორინგის გეგმის მიხედვით, • მასწავლებლები აწარმოებენ მტკიცებულებების პორტფოლიოს, სადაც ინახება სტუდენტების საბოლოო შეფასებების მტკიცებულებები და 3 წლის ვადით დასაარქივებლად ბარდება კოლეჯის „ადმინისტრაციის სპეციალისტს“; • ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ, ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის მიზნით, ***ხარისხის მართვის მენეჯერის სამუშაო გეგმის ჩანაწერების შესაბამისად ,*** განახლდა რეგულაციები, კერძოდ „სსიპ კოლეჯი მოდუსის ხარისხის მართვის მექანიზმები“ რომელშიც გაწერილია: ხარისხის კონრტოლის პროცედურები კერძოდ, სწავლების ხარისხის შემოწმების ძირითადი და დამხმარე პროცესები, მიმდინარე სასწავლო პროცესზე დაკვირვება /მონიტორინგის პროცესი და სწავლების ხარისხით კმაყოფილების შეფასება, პროცესზე პასუხისმგებლი პირებით და თანდართული შემოწმების ფორმებით. ასევე ხარისხის შეფასების ინსტრუმენტების (კითხვარების) შემუშავების მეთოდოლოგია; დამატებით, დაკორექტირდა „სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“, ცალკე გამოიყო „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის წესი და პირობები“. ასევე, დაკორექტირდა „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია". • ანალიზის საფუძველზე, დაკორექტირდა პროფესიული განათლების მასწავლებლების და პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის ფორმები. შესაბამისად, კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლების გამოკითხვა განხორციელდება ახალი ორი კითხვარის დახმარებით: **„პროფესიული განათლების მასწავლებელთა თვითშეფასების და საჭიროებათა კვლევა“** და **„კითხვარი მასწავლებლისათვის საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის გაუმჯობესების მიზნით“.** ასევე შინაარსობრივად განახლდა პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის ფორმები: **„პროფესიული სტუდენტების კითხვარი“** და **„პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამის განხორციელების შეფასება“.** გარდა ამისა, ამოქმედდა **„კითხვარი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციისათვის“.** კოლეჯში კვლავ უცვლელად მოქმედებს **„საკონტაქტო საათზე დასწრების კითხვარი“, „კურსდამთავრებულთა კითხვარი“; „დამსაქმებლის კმაყოფილების კითხვარი“,** და **„მომზადება/გადამზადების პროგრამის დასრულებული სწავლის შედეგ/ებ/ის**	

კმაყოფილების კვლევის კითხვარი“, „შეფასების ინსტრუმენტის შიდა ვერიფიკაციის/ვალიდაციის ფორმა“ და „სსიპ კოლეჯი „მოდუსი“ ვერიფიკაციის დასკვნის ფორმა“. • ცალკე შემუშავდა თითოეული კითხვარის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია კითხვარის გამოყენების საჭიროებები, თემატიკა, დრო და პასუხისმგებელი პირები. • გამომდინარე იქიდან, რომ შეფასების ინსრტუმენტის ვალიდაცია წლების განმავლობაში ხდებოდა ე.წ. „შიდა ვერიფიკაციის ფორმით“, მასწავლებელების მიერ ხდებოდა შინაარსობრივი აღრევა ჩანაწერებში - ვერიფიკაცია/ვალიდაციის ნაწილში. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების გადაწყვეტილებით, შეფასების ვალიდაციის ფორმის სახელწოდება ჩამოყალიბდა შემდეგნაირად „შიდა ვერიფიკაციის/ვალიდაციის ფორმა“, რაც შინაარსობრივად სრულ შესაბამისობაშია პროცესთან, რადგან ვალიდაცია არის ვერიფიკაციის ერთ-ერთი კომპონენტი.	
6. რეკომენდაციები პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით	
<u>მიგნებები:</u> • *<u>პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ სწავლების მრავალფროვანი ინტერაქტიული მეთოდების და თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების სიმწირე;</u>* • *<u>ვერიფიკაციის პროცესში პროფესიული განათლების მასწავლებლების დაგვიანებული უკუკავშირი</u>* ***<u>რეკომენდირებულია:</u>*** • პროფესიული განათლების მასწავლებლების დატრენინგება სწავლების მეთოდოლოგიაში, განსაკუთრებით მრავალფროვანი ინტერაქტიული მეთოდების და ციფრული კომპეტენციების გამოყენების მიმართულებით; • სწავლების ეფექტიანად წარმართვის მიზნით, საჭიროა პროფესიული განათლების მასწავლებლების, განსაკუთრებით, ახალი მასწავლებლების დამატებითი ტრენინგი პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისა და ხარისხის შეფასებისთვის საჭირო დოკუმენტაციიის თაობაზე კერძოდ, კალენდარული გეგმების, ვერიფიცირებული შეფასების ინსტრუმენტების შეფასების ინსტრუმენტების (მათ შორის შუალედური და საკვალიფიკაციო) გაუმჯობესების მიმართულებით; • დაიგეგმოს და ჩატარდეს შეხვედრები კოლეჯის საქმიანობისა და წლიური სამოქმედო გეგმების გაცნობის მიზნით, როგორც მასწავლებლებთან ისე სტუდენტებთან; • სტუდენტური აქტივობების დაგეგმვა - განხორციელება, პროფესიული სტუდენტური კავშირის	

საქმიანობის გააქტიურება და/ან ფორმატის შეცვლა - ოპტიმიზაცია, ასევე შეძლებისაგვარად სტუდენტური სერვისების ინტერნაციონალიზაცია, საერთაშორისო პროექტებში სტუდენტების ჩართვის მიზნით, სხვადასხვა საჭირო აქტივობების დაგეგმვა. • ინტეგრირებული სწავლების ეფექტიანად წარმართვის მიზნით, სპეციალისტების მოწვევა და მასწავლებლებისა და კოლეჯის ადმინისტრაციის დატრენინგება ინტეგრირებული მოდულების სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიაში; • სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირების მიერ სტუდენტთა დასწრების მაჩვენებლის ამაღლების მიზნით, საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და/ან მათ წარმომადგენლებთან; • კოლეჯის ვებ გვერდის გადახედვა, დიზაინის შეცვლა და ინფორმაციის უფრო ხშირი განახლება; გაეცნოს აღნიშნული ანგარიში კოლეჯის ადმინისტრაციას და პროფესიული განათლების მასწავლებლებს.	

ანგარიშის შევსების თარიღი: **30.12.2024**